№ 251
ნოემბრის 23, შაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 251
ნოემბრის 23, შაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
საგურამოში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ივერია“
ეღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

სამკერვალო
ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად
უველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად კაბა-ანაფორა და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია ასრულებს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიდებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

ასრულებს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქნეს ჩაბარებული და სხ.).

მესახვა საქონლისა შედავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნ ა ვ ო ს ნ ო ბ ა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საველელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ყოვლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „ნადეჟდას“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლი № 10.

სახლი კანი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.
(120—6.—57)

№ 17 ტელეფონი № 617.

ქართული თეატრი

კვირას, 24 ნოემბერს, 1902 წ.

დაკლებულის ფასებით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

ო რ ი პ ი ე ს ა

I

უბედურ ვარსკვლავზე
(Passionaria)

ისპანიური თანამედ. დრამა 3 მოქ. კანო-ი-მაზაზისა.

II

ბაქი-ბუქი

კომედია 2 მოქ. დაბიშისა, გადმოკეთებული ან. თუმანიშვილი-წერეთლის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომიანი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი და სხვ.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მ.-დან 8 მ. დე, პარტერი 50 კ.-დან 1 მ. 50 კ-მდე, ამფითეატრი 60 კ. გალერეია 35 კ.-დან 20 კ.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „კოვერლეის მკვლელობა“ (კ. მესხის ბენეფისი ეფ. მესხის მონაწილეობით), „გრიგალი“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

ე ქ ი მ ი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავად.ყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—ს მშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგან: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ გუშინ, 22 ნოემბერს ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში, მათმა მაღალ-ყოვლადუსამღვდელოესობამ ეგზარხოსმა ალექსიმ, მათის იმპერატორებითის უმაღლესობის ხელმწიფე-მემკვიდრის დიდის მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის დაბადების დღეს, გარდიხადა წირვა და შემდეგ სამადლობელი პარაკლისი. წირვას დაესწრო კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე ფრეზე, მთლად გენერლობა და მრავალი მლოცავი ხალხი; ამ დღეს სახლები შემკული იყო ბაირაღებით, არსენალის გორიდგან დასცალეს 21-ჯერ ზარბაზანი, ხოლო საღამოთი ქალაქის უმთავრესი ქუჩები, სახელმწიფო დაწესებულებათა და ქალაქის მმართველობის სახლები გაჩირაღდნებული იყო.

✦ ჩვენ გვიამბეს, რომ ბ-ნ ლევიცკის განუზრახავს თავის სახელმძღვანელოს გადაკეთება. როგორც, მოგეხსენებათ, ეს სახელმძღვანელო მუნჯურ მეთოდით არის შედგენილი, ესე იგი, სახელმძღვანელოში ჭაჭანება არ იყო იმ მკვიდრთა ენისა, რომელთაც უნდა ესწავლათ ამ სახელმძღვანელოს შემწეობით. ახლა ლევიცკის შეუცვლია თვისი აზრი და ისე ჰფიქრობს გადააკეთოს თავისი წიგნი, რომ შიგ ჩართული იყოს იმ მკვიდრთა ენის ელემენტი, რომელთა შორისაც იმუშავებს სახელმძღვანელო. მადლობა ღმერთს! ძლივს მოსულა გონს ბ-ნი ლევიცკი.

✦ ქუთაისიდან სწერენ გაზ. „ნოვ. ობ.“-ს, რომ თავად-აზნაურთა საგუბერნიო მორიგს კრებაზედ სენაკისა და ზუგდიდის მაზრის წინამძღოლთ განზრახვა აქვთ, როგორც გავიგონეთ, წარადგინონ მოხსენება და სთხოვონ კრებას, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ უხერხულია შეცვლა სამეგრელოს სკოლებში (სამინისტროსა და სამრევლო-საეკკლესიოებში) იმ სამოსწავლო გეგმისა, რომელიც მოქმედობს ამ ჟამად ყველგან სხვაგან საქართველოშიო.

✦ დღეს მოელიან ტფილისში სრულიად სომეხთა კათალიკოზ-პატრიარქს მკრტიჩ I-ს.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა მოსამსახურეთ ტფილისში განუზრახავთ, ერთმანერთ შორის ფული შეაგროვონ და განსვენებულის ი. ი. ტიხეევის სახელობაზე სტიპენდია დააარსონ აქაურს საბაღოსნო სკოლაში.

✦ „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, ბათუმის საქალაქო დამატებითი არჩევნები განზრახულია მოახდინონ კვირას, 1 დეკამბერს.

✦ 21 დეკემბერს დანიშნულია კონცერტი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ 16 დეკემბერს დანიშნულია ქალაქის თავის ამორჩევა.

✦ კავკასიის საუცხოვო ხელოვნებათ საზოგადოების გამგეობას, პირველ დეკემბრიდგან საუცხოვო ხელოვნებათა სასწავლებელში მასწავლებლად, ხოდოროვიჩის მაგიერ, მიუწვევია ჩვენი თანამემამულე, ახალგაზრდა მექანდაკე ნ. ნიკოლაძე.

✦ შაბათს, 30 ნოემბერს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში დანიშნულია რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა კრება. კრება მოისმენს სპეშნევის მიერ შედგენილ მოხსენებას ჩაის ბუჩქის ახალის სენის შესახებ.

✦ დღეს, ქალაქის გამგეობაში, დილის 11 საათზედ დანიშნულია ვერის ხიდის შემოსავლის იჯარით გაცემა. ამ ჟამად ვერის ხიდის იჯარადარი ბ-ნი მამინაიშვილი, ქალაქის სასარგებლოდ იხდის 17,025 მანეთს.

✦ ბორჩალოს მაზრისკენ იქმნენ გაგზავნილნი ბეითალნი ღედაბრიშვილი და მრევლიშვილი ერთის თვის ვადით, რათა თვალ-ყური ადევნონ იქიდან ტფილისში მომავალს საქონელს.

✦ სომეხთა სასულიერო მმართველობასა და ბ-ნ სვიმონოვის შორის დიდი დავა იყო ატეხილი იმაზედ, რომ, ვითომ ბ-ნ სვიმონოვს ვერის სომეხთა სასაფლაოს ახლო უთხრია თავის მამულში მიწა და საფლავები შეურყევია. ქალაქის ხურთთ-მოძღვარმა ახნაზაროვმა და ტფილისის პოლიციამ დაათვალიერეს ეს ადგილები და ოქმი შეადგინეს.

—

გზა და გზა

(უკვდავთა შორის)

„ჰმ, უკვდავნიო!“ გაიკვირვებს გაოცებული მკითხველი, „სსუ! მამა გიცხონდება, როგორ

თუ უკვდავი? ვინ არის ახლა უკვდავი? ნუ თუ არ იცი, რომ წარვიდა დრო სასწაულისა, დრო ლაზარეს აღდგინებისაო“.

თუ საფრანგეთს ჰყავს თავისი უკვდავები, რატომ ტფილისს არ უნდა ჰყავდეს? თუ დიდებული და სახელით დადაგნილი ზოლა დაჟინებით ებრძოდა თავის მემამულეთა გულგრილობას და ათჯერ მაინც სცადა ბედი, რომ უკვდავთა აკადემიაში მოჰყოლოდა, რად უნდა გაამტყუნო ტფილისელი, რომ ხმოსნობას ეტანებოდეს. მართალია, ამ უკასკნელმა თავის დასასკუპებლად საბჭოში, მთელი ბრბო კრიჟებისა მოჰრეკა და ისე ამოარჩევია თავი, მაგრამ ახლა ჰკითხეთ, ვინ ამოარჩია, რისთვის ამოარჩიეს, რა ღირსებისა და რა ღვაწლისათვის? ან რა უნდა გააკეთოს იქ, საბჭოში, რომ ასე „ჯიქურ“ შევარდა და წამოსკუპდა სავარძელში? დარწმუნებული ვარ, დოინჯ შემოყრილი მოგიგებთ: ალბად მიცნობენ, ვინცა ვარ, უთუოდ ღირსი ვყოფილვარ ამორჩევისა, თორემ ტყუილად არ ამომირჩევდნენო.

სასეირნოდ გამოსული, მეც ამიყოლია ახალ ხმოსნების ნახვის სურვილმა. იმ დღეს ისინი პირველად უნდა შეკრებულიყვნენ საბჭოში. ვისაც არ შევხვდი, ყველა იმათზე ლაპარაკობდა და მეც გამიტაცა ცნობის მოყვარეობამ.

საბჭოს დარბაზი არა ჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. მთელი ქანდარა გატენილი იყო ქალითა და კაცით და, ასე გასინჯეთ, ბავშვებიც-კი მოსულიყვნენ. დარბაზი ძალზე იყო განათებული ლამპრებით.

ხმოსნები თანდათან იკრიბებოდნენ. ყველა მათგანი სცდილობდა თავის თანამოაზრესთან დამჯდარიყო. აი შემოვიდა ახალი ხმოსანი, ცნობილი იუდა და განმარტოებით დაიკავა შუაზე ადგილი. ხმა არავინ გასცა. ყველას სახეზე გაკვირვების ნიშანი გამოიხატა: რა უნდა აქაო. ისიც ამჩნევს ამ უკმაყოფილებას, მაგრამ წარბსაც არ იხრის.

აი შემოცუნცულდა პაწია კაცი, სათვალეებიანი, საოცარი მოძრავი და მოუსვენარი, დატვირთული წიგნებით, მოხსენებით, შენიშვნებით და საჩქაროდ მიაშურა მარცხენა მხარეს.

— უმწვერვალესი მემარცხენეა, აქაური რადიკალიო,—ჩამჩურჩულა ჩემმა მეზობელმა, რომელიც მაცნობდა ხმოსნების ვინაობას,— შესანიშნავია მით, რომ ძილშიც ლაპარაკობსო.

მარჯვნივ სხედან მომავალნი იმედნი და ნუგეშნი ყარაბაღისა, ულვაშ აპრეხილნი, მოდაზე შეკერილ ევროპიულ ჟაკეტებით, მაგრამ ცხვირი... ის წყეული ცხვირი და ვიწრო, ბალნით შემოსილი შუბლი ცხადად ჰყოფს მათს ვინაობას. ესენი იმათი ჩამომავალნი არიან, რომელნიც ამ ოც და ათის და ორმოცის წლის წინად ქუჩის ნაკავს ჰზიდავდნენ ტფილისში. ესენი არას ლაპარაკობენ, სულ განაბულნი ყურს უგდებენ უფროსებს, ეჩვევიან ბრძოლას...

აი ზევით, ცენტრში, პოლოსა და ამბარცუმი წყვილად გამოუგზავნია მამას, ადრინდელს მსაჯულს.

მარჯვნივ ზის ცნობილი პედაგოგი, შავწვერ ულვაშიანი, კაცი მარჯვე და ხერხიანი, რომელმაც ერთხელ სამზღვარ-გარეთაც ნაყოფიერად იმოგზაურა და ისეთი ჩამოიტანა სალებავი წვერისა, რომ იმ დღიდან ინის და ლახოსტაკის ნაყვით თავ-მობეზრებული ლოლუა ჯავრით ქუთაისში ლოგინად ჩავარდა და დღესაც არ მორჩენილა, რადგან სალებავის საიდუმლო ვერ გაიგო.

როდესაც აკანკალებულის ხმით თავმჯდომარემ თავის თავისთვის სამგლოვიარო ზარი დაარაწკუნა და სხდომა დაიწყო, გამოჩნდა რაღაც, რომელსაც ერთის შეხედვით ვერ შეატყობდით, თავით მოდიოდა თუ ფეხებით, რაღაც ბურთის მზგავსი ტიტველი ლამპის სხივებზე იალბუზის მყინვარივით ლაპლაპებდა. თავმჯდომარემ ზარის რაწკუნი შესწყვიტა. ყველამ ახირებულ სანახაობისაკენ მიაპყრო თვალი; ისიც მიგოგავდა, იღლიაში საქალაქო დებულებით და სენატის გარდაწყვეტილებათა კრებულით.

ყველა გულის კანკალით და ხმა გაკმენდილი უმზერდა, სად ინებებს ადგილის დაჭერასაო, მაგრამ, უშველოს ღმერთმა, კარგი მამის შვილია ✠ მთლად არ გასწირა სამშობლო. მარცხნივ სადაც უფრო საშიშოა მტერი, იქ დაიჭირა ადგილი. ერთი ბეწვა, რომ გადაეხარა, შენი მტერი ჩვენ საქმე მოგვივიდოდაო! ტყვილად-კი არ სჭექდა და ქუხდა მამა მისი ქუთაისში, თითო ჩემი შვილი თითო სოფლად ღირსო. ჩამომავლობით ის ხმოსანია, ხელობით.. ხელობა მრავალ გვარი და მრავალ ფეროვანი აქვს. „ცნობის ფურცელს“ რო დაუჯეროთ, ახალი ხმოსანი პედაგოგია.

იმერეთში ზოგიერთი მხედარი განთქმულია იმით, რომ ყოველ ნაირ ჯორს თოხარიკს ასწავლის. ეს ახალი ხმოსანიც ამ მხედარს წააგავს პედაგოგიაში. მან არა ერთი გასწვრთნა, გაალექსა და მისის წყალობით ყურს უტკბობენ მკითხველ საზოგადოებას! პედაგოგობიდან პირდაპირ პოლიციაში ამოჰყო თავი. სამსახურიც ძალიან მოსწონდა, მაგრამ მტერებმა არყიეს. მტერების შეშინებულმა მშვიდი ნავსაყუდელი იპოვა „ცნობის ფურ.“ წმიდა მაგდალინას თავშესაფარში.

როგორც ჰხედავს მკითხველი, ყოველი კაცი წინ მიდის და ჩვენი ხმოსანი ჯერ-ჯერობით-კი უკან, მაგრამ ეს არაფერია, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბრძანდება, წინ ფართო მოედანი უდევს. შესანიშნავია კიდევ მით, რომ თვალებს იშვიათად აპარპალებს და ფიქრობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ლაპარაკობს. იმ დღესაც ყველა ელოდა, არ იცოდა კაცმა, როდის დაიჭექდა, მაგრამ მოლოდინი ყველას გაუცრუვდა, ჩვენმა ხმოსანმა კრინტიც არ დასძრა.

ჩემს გვერდით, მარცხნივ რას ვხედავ? „ცნობ. ფურ.“ მთელი ამალა აქ არის და მოწიწებით შეჰყურებს ერთს წერტილს- ვიფიქრე ამათ აქ რა უნდათ მეთქი. გავიხედე იქით, საითაც ისინი იცქირებოდენ და ამოვიცანი მიზეზი მათის მოსვლისა; თურმე უკვდავთა შორის მათი ბატონიც მოჰყოლია. რასაკვირველია, კვირას ხოტბა იქნება „ცნობ. ფურ“. დამატებაში სურათით. სარკმელ ქვეშ მჯდომარე ბ-ნი სიტყვა შესაფერს ფელეტონს უძღვნის მაკბეტის შინაარსით, (ახლა, მგონი, მაკბეტზედ უნდა იყოს რიგი მიმდგარი,) რომელსაც თოვლის ამბით გაათავებს.

აი ესენი არიან მკითხველო, ის რჩეულნი, რომელთაც, თითქმის ორასი ათასს მცხოვრებიანმა ტფილისმა ჩააბარა თავის საქმეების მართვა-გამგეობა. ამათ უნდა იზრუნონ ხალხის განათლებისა, მკვიდრთა უმაღლეს ინტერესებისა და ათასს სხვა საჭიროებისათვის, რომ სამართლიანად გაანაწილონ ის მილიონ ნახევარი, რომელიც ქალაქს შემოსდის ყოველწლივ.

ამის შემდეგ მოდით და ნუ იტყვით, რომ ქალაქის ხმოსნად ამორჩევა იგივე უკვდავთა შორის! ჩარიცხვაა!

№

ჩვენებური ამბები

ჭიათურა. დღეს, 20 ნოემბერს, როგორც იქმნა გველირსა და აკურთხეს აბანოს შენობა. კურთხევას დაესწრნენ შავის ქვის მრეწველთა საბჭოს წევრნი, გარდა ბ-ნის ზდანოვიჩისა, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო და უმეტესობა ჭიათურის საზოგადოებისა. ბევრნი იყვნენ აგრეთვე ამ დღისთვის სოფლიდან ჩამოსულებიც. ხვალიდან აბანო დაიწყებს მოქმედებას.

—

ტობანიერი. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ქუთაისის ამხ. „კოლხიდამ“ აგერ ერთ თვეზე მეტია, რაც მოაწყო ქუთაისში საკუთარი ბამბის საწმენდი ფაბრიკა და შეუდგა სოფლად ბამბის ყიდვას. აბრეშუმის ფასებს თუ ეს „ამხანაგობა“ ქუთაისის ბაზარზე ადგენდა, რადგან იგი უმეტესად თუ არა, სანახევროდ მაინც აქ იყიდა თავს,—სამაგიეროდ ბამბის ბაზრის შექმნა მას სოფლებში დასჭირდა. ამ ნაწარმოებისათვის დღეს ყოველ ასი და ორასი მანეთის მქონეს სოფლისაკენ მიუშურებია, დაუკავებია ყანთრები და ნაირნაირი ადვილ მოსატყუებელი საწონები ხელში, დადის კარდაკარ და „ბამბა, ბამბა“-ო გაიძახის. რადგან ქუთაისის ბაზარზე წვრილმან ვაჭარ-ჩარჩებმა „კოლხიდის“ სწორი სასწორის გამო თავიანთებურად ხალხის მოტყუილება ვეღარ მოახერხეს და მათ თავგასულობას ნელ-ნელა ფრთები შეაკვეცა, ამიტომ ბამბის ყიდვა მათ სოფლად გადიტანეს, თითონ მიადგნენ კარზე სოფლის მწარმოებელს, ბაზარი მის კარის სახსნეში გაიკეთეს. ამგვარად, ისინი აღარ მიუშვებს ქალაქის საერთო ბაზარზე, სადაც უჩარჩებოთ დადგენილი მაზანდა უფრო ხელსაყრელია, როგორც გამყიდველის, ისე მყიდველისათვისაც.

ყოველ შემთხვევაში, დღეს ჩარჩების შუამავლობა მომეტებულად სოფლის მწარმოებლის ინტერესების დამჩაგვრელია; ამათ ეს უკანასკნელნი გაუხდიათ სთლიდ დუმად, რომელსაც ყველა მარჯვედ და მოხერხებულად სთლის. ხალხის მოტყუილება ყანთრებით და მისგვარ სასწორებით-კი არა, არამედ თვით საუკეთესო სასწორ-თერეზებით (десятичные вѣсы) შეიძლება, თუ მწონელი სინიდისზე ხელაღებულია და მიზნად ხალხის ნათოფლარის დაცინცვლა აქვს დადებული. და ეს რომ ასეა, ამას ცხად-ყოფს ბაზრის დღევანდელი სასოფლო ორგანიზაციები.

აი, როგორ არის იგი დღეს სოფლად მოწყობილი ჩარჩების მიერ. მათი უმრავლესობა ქალაქების მსხვილ ვაჭრებს ჰყავს გაგზავნილი სოფლად აგენტებად, ან ჯამაგირში, ან საკომისიოდ და აძლევს ფუთ მაზანდაზედ ნაყიდ ბამბაში 10 კპ., რასაკვირველია, ჩარჩი აღის 10 კაპეიკს არ კმაყოფილდება, იგი გამყიდველისაგანაც ღებულობს გასამრჯელოს; მაგრამ მაგარიც აქ ისაა, რომ სოფლელ მწარმოებლისაგან იგი კაცილებით მეტს იღებს და აი, როგორ: ჩამოივლის ასეთი ჩარჩი სოფლებში, ვინც ფულზე ხელნაკლულად არის, დაუტოვებს ბეს და ასე ჩაიჭერს ხელში მის მოსავალს. ვინც ასეთ წინას-წარ დაბევებას გადაურჩება და საერთო ბაზარს მოუცდის, ჩარჩი აქაც საშველობს: იგი ხელ-ახლა ჩამოივლის კარ-და-კარ, მაზანდა ეს არისო, ეუბნება და ყიდულობს საქონელს. თუ მოახერხა და მაზანდაზე ნაკლებ იყიდა, ხომ კარგი, თუ არა და ფასის მორიგების შემდეგ იგი იმის ცდაშია, რომ როგორმე წონაში მოატყუოს გამყიდველი და ამას უსათუოდ მოახერხებს ზოგი „სკიდკის“ სახით და ზოგსაც ყანთარში გადაკვრით, არა ნამდვილის ზომის ჩვენებით; შეუძლებელია, ჩარჩმა ფუთში 3—5 და ხან და-ხან ათი გირვანქა არ მოიპაროს. 4—5 ფუთზე-კი ნახევარ ფუთსაც ჩაიჯიბავენ. რასაკვირველია, ასმა ხუთს სოფლელს თუ ვერ მოჰპარავენ ამნაირი წონით და მაზანდასაც ვერ დააკლებენ, სამაგიეროდ 95 მათგანი მოტყუილებას ვერ ასცდება, და ეს-კი საკმარისი ლუკმაა ჩარჩის გასამრჯელოსი. ვისაც მოახელებენ და წონაში ლამის ლუკმას გამოაცალებენ, ასეთებს გულის დასამშვიდებლად მაზანდაზე მოუმატებენ 10—20 კ., რათა სამერმისოდ გამყიდველის გული მოიგოს და სოფლად ხმა დაჰქუხონ, რომ ეს და ეს ვაჭარი მაზანდაზე მეტს იძლევაო. ის-კი არა, თუ პატრონს ამგვარის წონით ფუთზე 2 მან. ან 2 მ. 10 კ. ვერ მოსდის, მაგრამ იგი მაინც სიხარულით შინ გარბის—მაზანდაზე მეტი ავიღეო.

ვუცქერ ამგვარ ცხად მოტყუილების სცენებს სოფლად მშრომელისას და ვფიქრობ, რა უნდა იღონო ამის წინააღმდეგ, როგორ შეაგნებიო ხალხს, რომ ამგვარ სიბნელიდგან გამოვიდეს: მაგრამ სოფლის შორიდგან მაყურებლებს რომ ჰგონიათ, არც მაგრე ადვილად ეფინება აქაურს წყვდიადს ნათელი. ურჩევ, უხსნი ხალხს თავიანთ ინტერესების დაცვას, მაგრამ ისინი კიდე რაღაც ეჭვის თვალით გიყურებენ: შეჩვეული ჭირი ურჩევნიათ, შეუჩვეველს ლხინს. ეჭვი არ არის, თავიანთ ინტერესების რეალურ ნიადაგზე შეგნება ბოლოს გაიმარჯვებს, მაგრამ ამისათვის სოფლადაც კაცებს გარდა, ადამიანებია საჭირო, რომელნიც თვისი რიგიანის მოქცევით ხალხის გულსა და სულს მოიგებენ.

„კოლხიდასაც“ ხალხის ამგვარი დახმარება აქვს მიზნათ დასახული: მისი მოქმედება იქითაა მიმართული, რომ სოფლის ნედლი საქონლის მწარმოებელი დაუახლოვოს ქალაქის მყიდველს, ამ საქონლის გადამმუშავებელს. ამგვარად იგი მოშუამდგომელე სოფლელ მშრომელსა და ქალაქელ მყიდველს შორის, ამავე დროს კისრულობს, რამდენადაც დღევანდელი ცხოვრების პირობები ხელს შეუწყობს, დაიცვას ხალხი წვრილმან ვაჭარ-ჩარჩებისაგან. იგი, რა თქმა უნდა, სრულიად ვერ მოსპობს ახლანდელი ეკონომიური ცხოვრების სენს; ამის იმედი მხოლოდ ხალხის გულშემატკივრების საქმეა და რამდენად „ამხან.“ მიუახლოვდება თვისს მიზანს, იმდენად იგი თანაგრძნობის ღირსი იქნება, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. რამდენადაც იგი გაღონიერდება, იმდენად დაუძლურდება ჩარჩ-ვაჭართა მოქმედება სოფლად.

ჩარჩ-ვაჭართა სოფლების ტარევა-გლეჯის სურათებს დღეს ადმინისტრაციის ყურადღებისაც მიუხწევია. ქუთაისის მაზრის უფროსს თავ. დადეშქელიანს შემდეგი შინაარსის ცირკულიარი გაუგზავნია მამასახლისებისათვის. „ჩემამდე მოღწეულ ცნობებიდგან სჩანს, რომ თქვენ საზოგადოებაში გაჩენილან აუარებელი რიცხვი წვრილმან ჩარჩებისა, რომელნიც წონაში ატყუებენ და ფასების მიცემის დროს ანგარიშს აკლებენ სოფლელებს. ისინი შორს აძლევენ ერთმანეთს, აცხადებენ ვითომდა აწეულ ფასებს და ერთი სიტყვით, ხმარობენ ყოველგვარ არა კანონიერ საშუალებებს, რომ როგორმე მოხერხებულად მოატყუონ სოფლელები. ზემორე აღნიშნულ უმართებულო მოქმედებათა მოსასპობლად გაძლევთ წინადადებას:

1) აღუკძალოთ ხელზე მყიდველ ჩარჩებს აწონვა ყანთარსა, ლიღარიკონებსა და საზოგადოდ უსწორ-მასწორ სასწორებზე და იქონიოთ მკაცრი ზედამხედველობა იმის შესახებ, რომ მათ ჰქონდეთ კანონით დაწესებული სავაჭრო დოკუმენტები-ბილეთები.

2) ურჩიოთ სოფლელ მებამბეებს, აწონონ თავიანთი ბამბა საზოგადო სასწორზე, რომელიც დადგმულია სოფ. ამაღლების ბაზარზე, სადაც მას ხელმძღვანელობენ ცალკე ამაზედ მიჩენილი, კეთილსინდისიერ პირთაგან შემდგარი კომისია ადგილობრივ მემამულე, მღვდლების და მასწავლებლებისაგან. ესენი სწონიან ბამბას და აძლევენ პატრონებს კვიტანციას, რომელშიაც გამოანგარიშებულია ბამბის ნამდვილი წონა და ფასი. სასწორების მოწყობა და ხელმძღვანელობა ნაკისრი აქვს ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდას“, რომელსაც აქვს გამართული ამგვარი სწორი სასწორები სოფ. სიმონეთში, (იოსებ დოდონაძის სახლში), ჩხარის ბაზარზე, ტობანიერის საზოგადოებაში აქაურ სამინისტრო სკოლასთან-ბაზარში.

3) საჭიროა აგრეთვე, რომ ბამბის ყიდვა-გაყიდვა ერთ ადგილას მოეწყოს, სოფლების შუაგულ მოედნებზე.

მაზრის უფროსის ასეთი ღონისძიება სოფლად ჩარჩების შესამცირებლად, უეჭველია, ერთგვარ გავლენას იქონიებდა, რომ ასეთ „განკარგულებებს“ ჩვეულებრივი ბედ-იღბალი არ ეწვეოდეს მაზრის უფროსის ხელქვეითთა დაუდევრობით. მაგრამ საქმეც ისაა, რომ მოვა თუ არა ასეთი „მოწერილობა“ სოფლის კანცელარიებში და ჩასწერენ თუ არა დავთარში, მას სრულიად მსვლელობას არ აძლევენ. ბევრს მამასახლისს სრულიად არ ესმის ამგვარ მოწერილობათა მნიშვნელობა, მათ სოფლურ შეხედულობას სრულიად არ ეკარება ხალხის დაცვა დახმარებაზე ზრუნვა. „ხალხი რეგვენია, მას, ვინც ატყუებს, ის ურჩევნია“, გაიძახიან ისინი. და თუ სოფელს ბედნიერი დღე ხვდა და ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველი და მისი ინტერესების დამცველი აღმოუჩნდა, „სოფლის კუნწულა“ ამგვართა მოქმედების ხელის შემშლელი არის.

ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში, როგორ შეხვდებიან სოფლების „სასამართლოს“ წარმომადგენლები მაზრის უფროსის თავ. დადეშქელიანის დღევანდელ განკარგულებას.

მართალია, „კოლხიდის“ მართველობამ ამ ახალი საქმის დასაწყისში წელს ვეღარ მოასწრო ბამბა-აბრეშუმის ყველა უმთავრეს რაიონებში თავის სასწორების დადგმა და ზედ საიმედო კაცების მიჩენა, მაგრამ რისიც გაკეთება დღევანდელი ძალღონით შეუძლებელი შეიქმნა, „ამხ.“ შემდეგისა-

---

ფელეტონი

ძლვნად სომხისა და ქართველ მოწინავე მოღვაწეებს

(„ნორდარი“ № 162)

V

აბა ერთ წუთს წარმოვიდგინოთ, თუ რა სახე და მოყვანილობა უნდა მიიღოს ქართველთა და სომეხთა „შესანიშნავმა“ ბოიკოტმა. ნამდვილად სომხებსა და ქართველებს, რომელნიც სხვა-და-სხვასა და ერთმანეთზე დაშორებულ გუბერნიებში მკვიდრობენ, დაახლოვებითი განწყობილება ერთმანერთთან როდი აქვსთ. მაგალითად, დარალა-გიაზელი სომეხი განზრახ კეტს ხომ არ აიღებს, არ წავა, ვთქვათ შორაპნის მაზრაში, რომ იქ „იმერელს“ ჩხუბი დაუწყოს. მაშასადამე შესანიშნავი „ბოიკოტის“ ასპარეზი უნდა იყოს ტფილისი, სადაც შეყრილა ინტერესები ორი ხალხის „მოწინავე“ ნასწავლ-კაცობისა (იგულისხმე ნახევრად ნასწავლისა). აქ, ცხადია, ცილობაა ქალაქის გამგეობის „თბილი ადგილების“ განაწილების გულისათვის. არა მგონია, შეცდომილად ჩაითვალოს ის აზრი, რომ ქართველთა და სომეხთა მტრობის უმთავრესი მიზეზი ის „თბილი ადგილებია“. ხოლო „საერო“ „საზოგადო“ „ინტერესები“ სხვა არაფერია, თუ არ საბურავი, რომლითაც ორთავ საბრალო ხალხთა „მოთავენი“ ჰბურავენ თავიანთ უმთავრესს გულის ნადებსა და ასულელებენ საზოგადოებას.

მაგრამ ჩვენ დავცილდით იმ საკითხს, თუ რა სახე უნდა მიიღოს იმ „ბოიკოტმა“. აი რა სახე. ქართველი „მამულიშვილები აღარ სჭამენ“ შებრაწულ სუკს, დოშს, ან ჩახოხბილს ტილი-პუჭურის რესტორანში, ხოლო სომხის მამულიშვილები—„პურ-ღვინოს“ რესტორანში. ქართველი მამულიშვილები ქანარს, ან ლოქოს მიირთმევენ მუშტაიდის ახლო „ზოლოტოე ვრემიას“ ბაღში, ხოლო სომხები—ორთა ქალაში. სომხები, ვთქვათ, არ დალევენ ბაბუნიძის ღვინოს, ხოლო ქართველები მაკაროვის ღვინოსა. კახეთში მოგზაური ქართველი მამულიშვილი ყარაქლისელ სომხის „იამშჩიკებს“ აღარ დაიჭერს და აღარ მისცემს „ნავოდკის“, ხოლო სომხის მამულიშვილი თავისს „იმერელ“ ლაქიას ადგილიდგან დაითხოვს. სომხის „ფრანტები“ თმას აღარ გაიკრეჭინებენ ქართველ პარიკმახერს ჯაბადარს, ხოლო ქართველები სამაგიეროდ ბეროვისაგან ავეჯს აღარ იყიდიან. სომეხი არ ჩამოხდება ჩიკვაიძის სასტუმროში, ხოლო ქართველი—ბაქუთოვისაში. ორივე სომეხი და ქართველი კინტოები „იარმუკაში“ მუშტი-კრივს გამართავენ და თავპირდახეთქილები „უჩასტკაში“ წაბრძანდებიან პოლიციის კაცის წინამძღოლობით. სომხისა და ქართველთა გაზეთების რეპორტერები, ვთქვათ, თეატრში ერთმანერთს გაბერტყენ, შემდგომ მომრიგებელ მოსამართლესთან წადგებიან ცემატყების დავით. სომხის ლინგვისტი უხუმრად დაამტკიცებს, „მაწონი“, „კარაქი“, ან „კალო“ სომხური სიტყვებიაო, ხოლო ქართველი მეცნიერი დაიჟინებს, არა, ნამდვილი ქართული სიტყვებიაო. სომხის ისტორიკოსგეოგრაფოსი ეცდება, დაამტკიცოს ძველის ჰაიასტნის საზღვარი მყინვარის მთას უწევსო, ხოლო მისებრივე ქართველი მეცნიერი აიხირებს, ძველი საქართველოს საზღვარი არარატის მთას უწევდაო. საერთო მტრობა მოედება მოწაფეთაც, რომლნიც, შეიძლება, იურიევის ერთის შემთხვევის არ იყოს, ერთმანერთს მუშტიკრივით დაერიონ...

თავი და თავი კრივი-კი უნდა გაიმართოს ტფილისის ქალაქის გამგეობის „ადგილების“ გულისთვის. რამდენსამე თანამდებობას ქართველები დაიტაცებენ, რამდენსამე კიდევ სომხები. აი თქვენი „ერად გამარჯვება“ (საწყალო ერო, რას არ შვრებიან ქვეყნიერობაზე შენის სახელით). გამარჯვებაც უნდა იდღესასწაულონ. გამარჯვებულნი ზურნით და ბაირაღებით გასწევენ „ზოლოტოე ვრემიას“ ბაღისაკენ, ან „ორთაჭალაში“. ლოქო-ფიჩხულით გამოძღებიან, ღვინით გამოიბრუჟებიან, ძალზე მოსძახებენ „მრავალ-ჟამიერს“ და დაუვლიან „კინტოურსა“. თუ ბახუსის საყვარელმა სასმელმა კარგად იმოქმედა გამარჯვებულების ტვინზე, ვინ იცის, შეიძლება კიდეც მოხდეს, რომ ბევრს ქუდცილინდრები გაუფუჭდეს, ბევრს ყელ-სახვევები დააწყდეს, ბევრს ცხვირ-პირი დაუწითლდეს. დიპლიპიტოსაც თავს დაამსხვრევენ საზანდარსა... ესეც თქვენი „სომეხ-ქართველთა „ბოიკოტის“ თავი და ბოლოც“. რა მომხიბლავი სანახაობა!

VI

აი თვითონ ორი საწყალი ხალხის მდგომარეობაც. მათი ოჯახობრივი ცხოვრება თავისი ბუნებრივის კალაპოტით იწყებს დენასა. გლეხი კაცი მევახშის ხაფანგს ვერ. გადურჩება. მისი საქმეები, ხვნა-თესვის ხელი და საზოგადოდ მრთლად სასოფლო მეოჯახეობა დარჩება უწინდელებრ პატრიარქალ მდგომარეობაში. დედა-მიწა თანდათან გამოეფიტება და ვეღარ დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას, რომელიც დღითი-დღე იზრდება. გლეხი-კაცი გულ-გატეხილი, თვალ-ცრემლიანი, ილაჯგაწყვეტილი კერას დააგდებს, კარ-მიდამოს მოშორდება, რათა უცხოეთში ცხოვრების ღონე იპოვოს. ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე და მისი წარმოება გადავა უცხო ქვეშევრდომ მოხერხებულ ევროპელთა ხელში. ორივე ხალხი ზნეობრივად შემუსრვილი და ოჯახობრივ დამონავებული უცხო ელემენტად ჩაითვლის თავს თავის სამკვიდრო ქვეყანაში..

—

ერთ ჩემ ნაცნობ დედაბერს შევხვდი. საოცარი თვისება აქვს. **ვისაც იმისი ენა ესმის და მის ენაზედ ლაპარაკობს, იმას ეალერსება და თავზე ნელა ხელს უსვამს. მაგრამ ვისაც იმისი ენა არ ესმის და იმის ენაზედ არ ლაპარაკობს, ბასრის ფრჩხილებით სახეს უკაწრავს, თვალებს ჰსთხრის**, საკვირველი მოხუცია. არ ყოფილა და არც იქნება ისეთი ხალხი, რომლის ცხოვრებას ვერ მიხვდეს.

გამოვკითხე,—დედი, მალე დაქოჩვრენ, როგორც მამალი მამალსა, ამ ორი საბრალო ხალხის მოთავენი, თუ არა?

— ერიჰა, შემომძახა ქართულად. რაც გაჩენილან ეგ საწყლები, მაგათი თავი-კაცები და წინამძღოლები ერთმანერთის ხორცსა სჭამენ; ყველაფერი დაჰკარგეს და თავიანთ დიდი ხნის ცხოვრებაში ერთმანერთს-კი ვერაფერი შეასმინეს. **ყოველი ხალხი, ისე როგორც ყოველი ადამიანი თავის თავს თვითონვე იბეგრავს. როგორ ხალხმა, ისე ადამიანმა ყოველის საქმის მიზეზი თავის თავს უნდა გამოჰკითხოს.** უეჭველია გარემომცველ პირობას დიდი ზედ მოქმედება აქვს კაცთა და ხალხთა ნამყოს, აწმყოს და ყოფადზედ. მაგრამ ბევრი რამე იმათზედაც ჰკიდია. **ყოველის ერის, ყოველის ადამიანის ბედის და უბედურების „ბაცილა“ მათშივეა. მონების „ბაცილა“ ჯერ თვითონ მონაშივეა.** მაგ დღებნელი და საბრალო ხალხების წინამძღოლებს ვერ შეუგნიათ ეს ჭეშმარიტება. ხალხების საზოგადოებრივ და ოჯახობრივ ცხოვრებაში ბევრი მავნებელი „ბაცილაა“. მაგრამ ბაცილების წამალიც არის. მაგალითად წოდებათა უთანასწორობის ბაცილის წამალი თანასწორობაა. შუღლის ბაცილის წამალი ერთმანერთის გატანა და ერთობაა. ოჯახობრივ სისუსტის ბაცილის წამალი ცოდნა და ფულის ერთობაა ამხანაგობათა შესადგენად. მევახშეობის ბაცილის წამალი იაფი კრედიტია და სხვა. ერთის სიტყვით ყოველ სატკივარს თავისი წამალი და საშველი აქვს, მაგრამ „სისულელის“ ბაცილას-კი არც წამალი აქვს და არც საშველი. ღმერთმა დაიფაროს სომხები და ქართველები ასეთი ბაცილებისაგან.

— დედიჯან, რა ქვია-მეთქი, ვკითხე კიდევ.

— ადამიანობის ისტორიაო, მიპასუხა დედაბერმა.

ბოლოს სთქვა: „მახლასო“ და კიდეც მომშორდა.

პროფესორი ს. ელიაზარიანი.

კიევი. ოკდომბრის 10.

სომხურიდან გადმოღებული

კლდიასი.

თვის ეტდება, ამ სამეურნეო ნაწარმოებთა უნდა გასაღების საქმე ნორმალურ ნიადაგზე დააყენოს, როგორც ქალაქად ისე სოფლად.

ისო.

რუსეთი

სასულიერო მთავრობამ განმარტა: სამღვდელოებამ, როცა მას სთხოვენ ადრე დაქორწინებას, რაიცა კანონში არ არის ნება დართული, უნდა გამოიძიოს ის მიზეზები, რომლებიც აიძულებენ საქმროს თუ სასძოს, ადრე დაქორწინებას. თხოვნები უნდა იწერებოდეს მამის, ან ოპეკუნის სახელზედ, ხოლო ის პირნი, რომელთაც არც მშობლები ჰყავთ და არც ოპეკუნი, თავის სახელზედ აძლევენ მღვდელს, ან სხვა სამღვდელოების პირს თხოვნებს, რომელშიაც თხულობენ ვადაზედ ადრე დაქორწინების ნება-რთვას.

— 16 ნოემბერს 55 წელი შესრულდა, რაც „ვესტნიკ ევროპი“-ს რედაქტორი მ. მ. სტასიულევიჩი პუბლიცისტურსა და სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეობს.

— მიწად მოქმედების სამინისტრომ წარუდგინა განსახილველად საერო განათლების სამინისტროს დაბალ სასოფლო სამეურნეო სასწავლებელთა დებულება. შემდეგ მას სახელმწიფო საბჭოს წარუდგენენ.

— საერო განათლების სამინისტროს დაუმტკიცებია წესდება სარაიონო სამასწავლებლო ბიბლიოთეკებისა პირველ დაწყებით სასწავლებლებთან.

ამ გვარ ბიბლიოთეკებს ინახავს საერო განათლების სამინისტრო, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებანი და კერძო პირთა შეწირულებანი. ბიბლიოთეკის წიგნებით სარგებლობა შეუძლიათ მასწავლებლებს (ქალს და კაცს) უფასოთ. სარაიონო ბიბლიოთეკები სახალხო სასწავლებელთა დირექტორის, ან ინსპექტორის განკარგულებაშია. ბიბლიოთეკის გამგედ ინიშნება ერთი მასწავლებელთაგანი. მისი მოვალეობაა გაზეთების, წიგნების, ჟურნალების გამოწერა, კატალოგის შედგენა და სხ. ბიბლიოთეკაში ნება დართულია პედაგოგიურის შინაარსის წიგნები და ჟურნალ-გაზეთობა, რომელიც ნება დართულია სახალხო უფასო სამკითხველოშიაც. საჭირო წიგნების გამოწერის დროს ბიბლიოთეკის გამგის მოწვევით თავს იყრიან ადგილობრივი მასწავლებლები და მსჯელობენ იმაზე, თუ რა და რა წიგნებია საჭირო. მათ მიერ შედგენილ სიას ამტკიცებს სახალხო სკოლათა დირექტორი.

— ხუთი წლის გაიმავლობაში (1896—1900) თავად-აზნაურობას ხერსონის გუბერნიაში 238,132 დესიატინა გაუყიდნია. 62,369 დეს. ნემეცებს შეუძენიათ, დანარჩენი წვრილ ბურჟუაზიას, რომელიც გამოიჩეკა სოფლის დეზორგანიზაციიდგან.

— 15 ნოემბერს მოსკოვის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდ. დობროხოტოვის, რომელსაც ბრალდებოდა ქ-ნ კორობოვის 200 მანეთად ღირებული ბრილიანტის ბეჭდის მოპარვა. დობროხოტოვს ქურდობაზე უარი უთქვამს, უკიდურესმა გაჭირებამ მაიძულა ასეთი საქმე ჩამედინაო. ნაფიც მსაჯულებმა უარჰყვეს თვითონ ქურდობის ფაქტი და სტუდენტი გაამართლეს.

უცხოეთი

სერბია. დამოუკიდებელ გაზეთთა უმრავლესობა უკმაყოფილებას აცხადებს ცინცარ-მარკოვიჩის პირველ მინისტრად დანიშვნის გამო. რადიკალები ოპოზიციას ადგენენ, მხოლოდ ჯერ ვერ შეთანხმებულან, რა მიმართულება მისცენ მას რადიკალთა დასი ოთხ ნაწილად გაიყო. მათ შორის ზომიერთა ჯგუფი—ვუიჩისა და ველიმიროვიჩის მომხრე—იმ აზრს ადგია, რომ ოპოზიცია მშვიდობიანი უნდა იქმნეს და წინანდელ გზას უნდა ადგესო. დამოუკიდებელნი და პაშიჩის მომხრენი ამბობენ, უფრო გადაჭრით, მოურიდებლად უნდა ვიმოქმედოთო. ამათ გარდა არსებობს კიდევ სრულიად განცალკევებული ჯგუფი მილოვანოვიჩისა. რადიკალებს გადაუწყვეტიათ კრება მოახდინონ ბელგრადსა მომავალ შეთანხმებისა და საერთო მოქმედების შესახებ.

გაზ. „N. Fr. Pr.“-ი იუწყება, ბელგრადის საზოგადოება მეტად აღელვა პაშიჩის წერილებმა, რომელიც მეფეს ჩაუვარდა ხელში. ამბობენ, ვითომ პაშიჩი ცუდად იხსენიებდეს ამ წერილებში თავის პოლიტიკურ მეგობრებსა და მომხრეებს. ეს გარემოება, ცოტა არ იყოს, ჩირქსა სცხებს თვით პაშიჩის პირადობას. პაშიჩის მახლობელნი-კი იმას ამბობენ, რომ ეს ამდენი მითქმა-მოთქმა და აურ-ზაური წერილებმა-კი არა, იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ პაშიჩმა მილანის ბრძანებით წერილობით საქვეყნოდ განაცხადა სწორედ ის, რაც კნიაჟევიჩის განზრახვის გამო სიტყვიერად სთქვა სასამართლოს წინაშეო.

გერმანია. როგორც "Birminhan Post"-ი იუწყება, გერმანიის მთავრობას მიუმართავს ბრწყინვალე პორტისათვის და უთხოვნია ახალი თვალსაჩინო კონცესია ბაღდადის მომავალ რკინის გზისა და მის ორ შტოს გასწვრივ მდებარე ადგილებისაო.

საფრანგეთი. სამხედრო მინისტრ ანდრეს სენატში შეეკითხნენ, რამდენადაა გავრცელებული ჭლექი ჯარშიო. გამოირკვა, რომ 2131 კაცში, რომელიც ყოველ წლობით იხოცება ჯარის კაცთა შორის, უმეტეს ნაწილად ჭლექის მსხვერპლი ყოფილა. ეს სენიო, სთქვა მინისტრმა—მეტადაა გავრცელებული საფრანგეთში. ექიმი ვორო მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევა იმის შესახებ, თუ რა მიზეზით კლებულობს მცხოვრებთა რაოდენობა საფრანგეთშიო. თურმე იმ $5^1/_2$ მილიონ ბავშთაგან, რომელნიც ყოველ წლობით იბადება საფრანგეთში, ნახევარზედ მეტი ჭლექით იხოცება, ჯერ ისევ სრულიად ნორჩი. განსაკუთრებით ეს უწყალო სენი სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთ დეპარტამენტში მძვინვარებსო. ოფიციალურ სტატისტიურ ცნობებით მარტო ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში მოსწავლე ახალგაზრდობათა შორის 6,000-მდე ყოფილა ამ სენით შეპყრობილი. ამ ჟამად დიდ ქალაქების მმართველობათ გადაუწყვეტიათ აირჩიონ კომისიები, რომელთაც დაევალოს, ყოველი ღონის ძიება იხმარონ ამ საშინელ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ავსტრია-უნგრეთი. იმპერატორ ფრანც-იოსებმა 1901 წელს სურვილი განაცხადა თავის საკუთარის ხარჯით დაეარსებია „ჩეხის სამთავროს ახალი გალერეია“, რომელსაც აზრად უნდა ჰქონოდა გერმანულისა და ჩეხურის მხატვრობის (საზოგადო ხელოვნების) განვითარება. იმპერატორმა ამ საქმეს 1,000,000 გულდენი შესწირა. ამით ჰსურდა ორი მოქიშპე ერის ერთმანეთთან დაახლოვება მშვიდობიან, კულტურულ შრომის ნიადაგზე. მაგრამ ამ საქმის განხორციელებას დიდხანს არაფერი ეშველა, რადგანაც ძნელი გამოდგა ჩეხთა და გერმანელთა შეერთება თვით ხელოვნების ასპარეზზედაც-კი. მხოლოდ ახლა დაიწყეს გალერეის შენება, მაგრამ არა იმ სახით, როგორსაც იმპერატორი თხოულობდა.

ნოემბრის 11-ს პრაგაში მოხდა ამ გალერეის აღმშენებელ კურატორიის კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ჩეხი—გრ. გარრახი. ამის შემდეგ კურატორია ორ სექციად გაიყო: ჩეხთა და გერმანელთა. ჩეხთა სიქციის კრება დაიწყო დ—რი კრამარჟის თავმჯდომარეობით, რომელიც იმპერატორმა დანიშნა.

მან მადლობა გადაუხადა იმპერატორს გულუხვი შეწირულებისათვის, რომ „ჩეხურის სექციის დანიშნულება იქმნება იმგვარი შრომა, რომელიც იმპერატორს სწადია და რაიც ხელს შეუწყობს ჩეხურ ხელოვნების განვითარებასაო“. ორატორის აზრით, „გალერეია მხოლოდ ხელოვნების ასაყვავებლად უნდა იყოს დანიშნული და არა ეროვნული განხეთქილების წყაროდ. უკეთილშობილესი სურვილი და მიდრეკილება იმ ხალხისა, რომელმაც უნდა დაანახოს კაცობრიობას თავის არსებობა, ის უნდა იყოს, რომ აჩვენოს მსოფლიოს ხელოვნება,—ხელოვნება თავისებური, თავის საკუთარის სულით და გულით შეთხზული. ჩვენ მადლიერნი უნდა ვიყვნეთ ჩეხურის ხელოვნებისა, რომელსაც თავის წმინდა მოვალეობისათვის არაოდეს არ უღალატნია. იმპერატორის სურვილისამებრ გალერეიამ უნდა შეაერთოს ორი ეროვნება ერთმანეთთან, ის წინამორბედი უნდა იყოს სამშობლოს უკეთესის მომავლისა, როცა ორი მეზობელი ხალხი ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთად იმოქმედებს არა მარტო ხელოვნების სარბიელზედ, არამედ ცხოვრების ყოველ ასპარეზზედ საერთო და მშვენიერის სამშობლოს სასარგებლოდ“. გერმანულ სექციის თავმჯდომარეს სიტყვა ცოტად ეწინააღმდეგებოდა კრამარჟის სიტყვას. მისი აზრით, „გალერეიამ ხელი უნდა შეუწყოს გერმანელებს და დააჭერინოს სწორედ ისეთივე მდგომარეობა, როცა პრაგა შუაგული იყო გერმანულ ხელოვნებისაო“.

— ავსტრიის მრეწველთა ასოციაციის კრებაზედ კერბერმა სიტყვა წარმოსთქვა, ამ სიტყვაში სცდილობდა მრეწველნი ენუგეშებია ავსტრიასა და უნგრეთს შორის მომავალ ეკონომიურის ურთიერთობის შესახებ; კერბერმა აცნობა კრებას, საქმე მალე კომპროსით და მორიგებით გათავდებაო. მონარქიაო, სთქვა მინისტრმა, ეკონომიურს ერთობას უნდა წარმოადგენდეს: ავსტრიის მთავრობა ყოველს ღონისძიებას ხმარობს, რომ დაცულ იქმნას ეს ერთობა, უნგრეთის მთავრობაც ამ აზრითაა გამსჭვალული. შემდეგ მინისტრმა დაუმატა, თუმცა ჯერ ეს ორი მთავრობა სრულიად ვერ შეთანხმებულა, მაგრამ ეს უთანხმოება არც ისე დიდია, რომ შეეძლოს ავსტრიასა და უნგრეთს შორის განხეთქილების გამოწვევაო. დამოუკიდებელი საბაჟო ტარიფი, ეს გადაწყვეტილი საქმეა ამ ორს სახელმწიფოთა შორის: ამ გვარი ტარიფი ძლიერ საჭიროა ავსტრიის წარმოებისათვის. დასასრულ კერბერმა სთქვა, ჩემის აზრით შესაძლებელია ახლო მომავალში დავიწყოთ მოლაპარაკება სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულობათა შესახებაო.

სხვა-და-სხვა წერილები

წეს-რიგი მართლ-მადიდებელთა ტაძრებში სომეხთა კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა მიღებისა.

ძველად საქართველოში ჩვენი ეკკლესია არა თუ არ უკრძალავდა სომეხთა სულიერ მამებს ჩვენის ტაძრების საკურთხეველში (ტრაპეზში) შესვლასა, არამედ ყველა მათთვის ეკკლესიის კარი ღია იყო. რუსეთშიც ასე ყოფილა, მაგრამ ბოლოს დროს, სამოციან წლებში, მოსკოვის მიტროპოლიტმა ფილარეტმა, თანახმად საეკკლესიო კანონთა და წმიდათა მათთა დებულებისა, განმარტა, რომ სომეხთა სასულიერო მამებს—კათალიკოსსა, ეპისკოპოსებსა და სხვათა არა აქვთ უფლება მართლ-მადიდებელთა ტაძრის საკურთხეველში შესვლისა და იქ ლოცვისაო. ფილაპიანეს ექსარხოსობის დროს უწმინდესის სინოდის წინაშე იშუამდგომლეს, რომ გამოეცა სავალდებულო და სახელმძღვანელო წესები, თუ როგორ უნდა შეეგებნენ სომეხთა სულიერს მამებს მართლმადიდებელთ ტაძრებში. უწმიდესმა სინოდმა ამ საგნის გამო დააწესა საყოველთაოთ საცნობლად: უკეთუ სომეხთა კათალიკოსნი, გინა მათნი ეპისკოპოსნი, განაცხადებენ სურვილს მართლ მადიდებელთა ტაძრების ნახვისა და დათვალიერებისას, მართლ-მადიდებელ სამღვდელოებას არ ეკრძალება, მიეგებნენ მათ საყდრის კარიბჭესთან, მაგრამ მღვდელი უშესამოსლოდ უნდა შეეგებოს, არ უნდა მიართვას არც ჯვარი სამთხვევლად, არც აიაზმის წყალი სასხურებლად; სომეხთა სულიერ მამებს აქვთ მხოლოდ იმისი ნება, რომ დაათვალიერონ ტაძარი და მისი კუთვნილებანი; არავითარი სღვთო მოქმედების შესრულების ნება არა აქვთ და, თუ ვინიცობაა მოინდომებენ შესრულებას, მართლ-მადიდებელმა მღვდელმა არ უნდა მისცეს ნება.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

დღეს, 23 ნოემბერს, ავლაბრის სახალხო თეატრში (თელავის ქუჩაზე, მურაშკოს შენობაში) ვაიმართება ქართული წარმოდგენა. ეს მეორე წარმოდგენაა, რომელსაც ჰმართავენ ავლაბრელი სცენის მოყვარულნი, წარმოდგენილი იქმნება ავქ. ცაგარლის 3 მოქმედებიანი კომედია: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და მისივე „ჭკუისა მჭირს“. იმედია საზოგადოება დაესწრება და მით სცენის მოყვარულთ გამხნევებს, რომ ამ გვარ სახალხო საქმეს მხურვალედ მოეკიდნენ. წარმოდგენების მართვა დიდად საჭიროა ხალხისთვის და განსაკუთრებით ავლაბრელებისათვის, რომელნიც ყოველგვარ გონივრულ გართობას მოკლებულნი არიან. წარმოდგენა დაიწყება საღამოს $7^1/_2$ საათზე.

ბათუმი. ქუთაისის ქართულმა დრამატიულმა დასმა ბ-ნ ვლ. მესხიშვილის მეთაურობით წარმოადგინა ბათუმში სუმბათაშვილის „ბორკილის“ გარდა, „ურიელ აკოსტა“ 7 ნოემბერს, „უპატიოსნონი არ იბადებიან“ და „პარიჟელი ბიჭი“ 8-ს და „ტარტიუფი“ 11 ნოემბერს, რის შემდეგაც დასი გამოეთხოვა ბათუმს.

„ბორკილის“ შესახებ უკვე გაცნობეთ. აი დანარჩენ სამის წარმოდგენის შესახებაც: „ურიელ აკოსტაში“ არა ერთხელ გვინახავს მესხიშვილი და ყოველთვის უფრო მოგვწონებია, ვიდრე ახლა. ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, უნდა იყოს ის, რომ მას გარდა ყველანი ისეთნი შეუფერებელნი და მოუმზადებელნი იყვნენ თავ-თავის როლებისა, რომ თვით ბ-ნი მესხიშვილი იძულებული იყო ერთს და იმავე დროს თავისი როლიც შეესრულებინა და დარიგებაც მიეცა სიტყვით, ფეხის ბრახუნით და სხვ... სხვებისთვის, რომ სულ არ გაეფუჭებინათ წარმოდგენა, რაც მაყურებელთათვისაც არ რჩებოდა შეუმჩნევლად. ეს გარემოება რასაკვირველია, მის თამაშსაც ელფერს აკლებდა. „ურიელ აკოსტა“ ისეთი ტრაგედიაა, რომ მის წარმოდგენას მეტად დახელოვნებული და ნიჭიერი არტისტები ეჭირვება.

სამაგიეროდ მშვენივრად წარმოადგინეს „უპატიოსნონი არ იბადებიან“ და „პარიჟელი ბიჭი“. კარლ მორეტის როლში ბ-ნმა მესხიშვილმა მოხიბლა და მოაჯადოვა მაყურებელნი, მეორე მოქმედებაში, როდესაც იგი აღმოაჩენს თავის ცოლის ელიზას (ტასო აბაშიძე) ჯამას, რასაც ხელს უწყობდა მათი ნივთიერი ცხოვრების ვითარება, როცა იგი ამით გამწარებული და შეურაცყოფილი ჰბორგავდა და ვაებდა სცენაზე, ჩვენ დაგვავიწყდა, სად ვიყავით, თეატრში ვიყავით და ვხედავდით სცენაზე მოთამაშე არტისტს, თუ ნამდვილ ცხოვრებას ვხედავდით. ბევრჯელ გვინახავს, რომ მესხიშვილს, ამ ქართველების თავმოსაწონებელს არტისტს, თავის ხელოვნურის თამაშით დაიპყრას თეატრი და დაემონავებიოს მთელის საზოგადოების სული და გული და სწორედ ასე მოხდა ამ საღამოსაც. დანარჩენმა არტისტებმაც, რაც შეეძლოთ, შეუწყვეს ხელი მას და ამიტომ წარმოდგენამ სამაგალითოდ ჩაიარა.

აგრეთვე საუცხოვოდ წარმოადგინეს „პარიზელი ბიჭი“. პარიზელი ბიჭი ჟოზეფის როლში ტასო აბაშიძე და მორენ ლენერლისაში ალ. მესხიშვილი სამაგალითო იყვნენ. სწორედ ხელოვნების განხორციელება იყო ამ საღამოს ქ-ნი ტასო აბაშიძე. დიდ, დარჩეს სანანურად ბათუმის საზოგადოების უმრავლესობას, რომ ვერ ნახა ამ საღამოს კარლ მორეტტი და ჟოზეფი.

„ტარტიუფი“ უნდა წარმოედგინათ ტასო აბაშიძის საბენეფისოდ 9 ნოემბერს, მაგრამ, რადგან თეატრს არავინ მიეკარა, გადასდვეს 11 ნოემბრისთვის. ამ დღეს წარმოდგენამ კარგად ჩაიარა ჩვეულებრივად, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ სამწუხაროდ, რომ მესხიშვილს, აქაურ ქართველ საზოგადოების უმრავლესობა მეტად გულცივად მოეპყრო. მართალია, ცუდმა ამინდებმა, არჩევნებისათვის სამზადისმა და ფაცაფუცმა-კი ცოტა არ იყოს ხელი შეუშალა, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, მაინც არა იქნებოდა-რა. აქაური „ინტელიგენცია“ და ცოტაოდნად შეძლებული ვაჭრები და სახლის პატრონები, უფრო ნარდსა და ბანქოს ეწყობიან და ამას ანდომებენ მთელ თავისუფალ დროს. ნაშუადღევის სამი საათიდან 12 საათამდე ზღვის პირის ყავახანები სავსეა ასეთის ქართველებით, რომელნიც წიგნის კითხვას და ქართულ თეატრს ისე გაურბიან, როგორც ურია ღორის ხორცს. ქართულ წარმოდგენებს ესწრებიან უფრო მუშები, წვრილი ხელმოკლე ვაჭრები და მოზარდი თაობა, გიმნაზიელები. ამიტომ მესხიშვილს რომ ფასები დაეკლო, ყველა წარმოდგენებზე თეატრი გაჭედილი იქნებოდა, რითაც თითონაც მოიგებდა და ხალხიც კმაყოფილი დარჩებოდა. ამის დამამტკიცებელ მაგალითს იძლევა სტ. ხარაზიშვილის მიერ გამართული ფას დაკლებული წარმოდგენები, იმედია ბ-ნი მესხიშვილი მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟამად ხარჯიც კი ვერ დაჰფარა, გულს არ გაიტეხს ბათუმელ ქართველებზე და არ მოაკლებს მათ თავის ხელოვნურ თამაშს ხან-გამოშვებით.

17 ნოემბერს სომხის დრამატიულ დასის არტისტმა გნუნმა ქ. ზაბელის მონაწილეობით და აქაურ სომხურ სცენის მოყვარულთა დახმარებით, წარმოადგინა „ყარაბაღელი ასტროლოგი“ ისტ. დრამა. უმთავრეს როლს, ყარაბაღელს ასტროლოგს თამაშობდა სცენის მოყვარული ელიზბარიანი. ეს ის ელიზბარიანია, რომელიც ხანდახან ქართულ წარმოდგენებშიაც იღებს მონაწილეობას. შესამჩნევად შეასრულა მან თავისი როლი, რითაც დიდათ ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება. საზოგადოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა თავის ხელოვნურის თამაშით ბ-ნი გნუნი. ხალხი ბლომად დაესწრო. თეატრში ტევა აღარ იყო. ესეც იმის მაგალითი, რომ სომხები ყველაფერში გვჯობნიან ბათუმელ ქართველებს.

—ონ—ლიძე.

ნარკვევი

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენმა ცხოვრებამ წარმოშობა ერთი მწერალი-პუბლიცისტი. ეს არის ბ-ნი კალამი. ბ-ნი კალამი ხელში ისე კალამს არ აიღებს, რომ ჩვენის ერის კლასებრივს სხვა-და-სხვაობაზედ არ მიუთითოს. მაგრამ არასოდეს თავის აზრს ნათლად არ ამბობს. ვკითხულობთ მის წერილებს და ვერ მიმხვდარვართ: რომელ კლასისკენ არის მისი სიმპატია გარდახრილი, რომელ ჯგუფის, რომელ პარტიის ინტერესებს იცავს. ის ყოველთვის ორჭოფობს. ხან იქითაა და ხან აქეთ, მისთვის „ჰო“-ც არსებობს და „არა“-ც. როცა დაასრულებს თავის წერილს „სამშობლოს სიყვარულით“, ამით „ივერიელებს“ იმადლიერებს, ხოლო როცა „დაჩაგრულ კლასის“ ინტერესებს მაღლა დააყენებს,—ამით „კვალის“ დემოკრატიზმს უახლოვდება; არ იქნა და არა, კალამის წერილები გადაჭრილ კატეგორიულს არაფერს ამბობს. ასე ემართება ყველა მწერალს, რომელიც ყველას მოსამადლიერებას სცდილობს.

შეიძლება, კალამი დიდებული მამულიშვილიც იყოს, დიდებული დემოკრატი, დიდებულ აზრებისა,—ამას ჩვენ არ ვეხებით, ჩვენ შევეხებით (გაკვრით) მხოლოდ [illegible]-მისის წერილის აზრს, რომელიც „ც. ფურც.“ დაიბეჭდა. კალამი ამბობს:

„წინად ჩვენში იყო მხოლოდ, განსაკუთრებით მაინც (თუ „მხოლოდ“ რაღა განსაკუთრებით?), ერთად ერთი მიმართულება...—ქართული ენის დაცვა და განვითარება... ყველგან ერთობა იყო, რადგან ყველგან გაბატონებული იყო ერთი დედა აზრი, რომლის წინაშე მუხლი უნდა მოედრიკა ყველას და რომლის წინააღმდეგ ხმის ამოღება იყო მომაკვდინებელი ცოდვა.

გარდა სხვა პირობებისა, ასეთს ერთობას ხელს უწყობდა უპირველესად ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. წინად გლეხობა ქონებრივად (პოლიტიკურად?) ვიწრო შეზღუდულს ფარგალში იყო მომწყვდეული. როდესაც ბატომ-ყმობა მოისპო, გლეხობას მიეცა შეძლება საკუთარის ცხოვრებისა, მიეცა ნება განძრევისა, მოქმედებისა, წინსვლისა. გლეხობა ამოძრავდა და თუ წინად, უმთავრესად ორი წოდება იყო და მათი ურთიერთობა დაკანონებული იყო, კანონით ხელ უხლებელ-ყოფილი, ეხლა ურთიერთობა შეიქმნა თავისუფალი და ორის წოდების მაგივრად გაჩნდა სამი და ოთხი კლასი, თუ წოდება“.

როგორც სჩანს, ბ-ნი კალამი მესამოცე წლების მოღვაწეთა შესახებ ლაპარაკობს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მესამოცე წლების მოღვაწეებს მარტო ენის დაცვა და განვითარება არ აინტერესებდათ: მათ წინ წამოჭიმული იყო ბატონ-ყმობა, თავის შესაზარი და სამარცხვინო სურათებით, მთელის თვისის უმზგავსოებით. იყო ბრძოლა, სასტიკი ბრძოლა ბატონ-ყმობის მომხრეთა და მის მოწინააღმდეგეთა შორის. სხვა თუ არა, ის მაინც მოიგონეთ, როცა „სურამის ციხის“ ავტორი ბატონ-ყმობას მომხრეთ მტკვარში კინაღამ დაადრჩვეს. ასეც რომ არ იყოს, იქ, სადაც ბატონ-ყმობას ფესვები ღრმად აქვს გამჯდარი, იდეოლოგებიც რომ არ გამოუჩნდნენ დაჩაგრულს ნაწილს საზოგადოებისას, ბატონსა და ყმას შორის წინააღმდეგობა მაინც არის, თუ ყოველთვის შეგნებული არა, შეუგნებელი მაინც. ამის შემდეგ ვერ გაგვიგია, რას ჰნიშნავს ფრაზა: „ყველგან ერთობა იყო“.

თუ იმას ჰგულისხმობს ავტორი, რომ **ქართულ ენის ერთობა იყო**, ეს ყველამ იცის ორჯერ ორის დამტკიცება რაღა საჭიროა; ვერ გაგვიგია აგრეთვე ფრაზა: „ასეთ ერთობას ხელს უწყობდა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობაო“, ე. ი. ბატონ-ყმობა. მაგრამ ბატონ-ყმობა ერთობას (თუ გინდაც ენის) ხელს როდი უწყობს, პირიქით ერთობის დამრღვევი, დამანაწილებელია. თუ ენის განვითარებას რაიმე-კი უწყობს ხელს, ეს არის თავისუფლება, სხვა არაფერი.

მაგრამ ამ წვრილმანებს თავი დავანებოთ; მოიგონეთ ბ-ნ კალამის მიერ კლასების აღმოჩენა.

ევროპაში ერთ თავსამტვრევ საგანს შეადგენს ის საკითხი, თუ როგორ წარმოიშვა და როგორ ვითარდებოდა არსებული საზოგადოებრივი კლასები. თვით შესანიშნავ მარქსს „კაპიტალის“ მე-III ტომის ბოლოში ნახსენები აქვს „კლასთა წარმოშობა“, მაგრამ დასრულებული-კი არა. ამ მოვლენას ენგელსი დიდის გულის-ტკენით იხსენიებს: აქ ხელნაწერი წყდება და არვიცით სად არის „კლასების წარმოშობის“ თავის დანარჩენი ნაწილიო. ამას ზომბარტიც იხსენიებს თავის „სოციალურს პოლიტიკაში“. ძვირფასი განძი იქნებოდა მარქსის „კლასთა წარმოშობის“ თავი რომ არ გაბნეულიყო; ის ბევრს ახალს იტყოდა ამ საკითხის (კლასთა წარმოშობის) გამოსარკვევადაო.

ასე ამბობენ ევროპის საუკეთესო მეცნიერები, ხოლო ჩვენი მეცნიერი-კი სრულიად უბრალოდ სჭრის კლასთა წარმოშობის საკითხს. მისის წერილის აზრით, ბატონ-ყმობის დროს არსებობდა **ორი კლასი**, ორი წოდება, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ გაჩნდა სამი და ოთხი კლასი, თუ წოდებაო. აი ნამდვილი აღმოჩენა! ევრიკაო. ბ-ნმა კალამმა უნდა დაიძახოს და ევროპას ახაროს, რას იმტვრევთ თავს, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ორ კლასს ორი ახალი კლასი მოემატა და შეიქმნა ოთხიო.

თურმე ბატონყმობის წინად ამ ორის წოდების ურთიერთობა დაკანონებული ყოფილა, ე. ი. „კანონით ხელუხლებელიო“. კიდეც ეს არის, რომ ბატონყმობის დროს დაკანონებული არაფერი არ ყოფილა, ყმა ბატონის სრული მონა-მორჩილი იყო. ბ-ნ კალამის წერილის აზრით-კი ბატონყმური ურთიერთობა ხელუხლებელია, ე. ი. ბატონის უფლებას ყმა ხელს ვერ ახლებდა, ყმის უფლებას—ბატონი ვერ შეეხებოდა. თუ ეს ასე იყო, რაღა საჭირო იყო ბატონყმობის გაუქმება! ბატონ-ყმობის გაუქმება ჰნიშნავს ყმის პირად თავისუფლებას, მის პიროვნების ხელშეუხებლობას და სხვას არაფერს. ამის წინააღმდეგი, ჩვენ გვგონია, არც ბ ნი კილამი იქნება, ხოლო ბ-ნ კალმის წერილის აზრი-კი ასეთს წინააღმდეგობას ჰბადავს.

„ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ—ამბობს ავტორი—წამოყენებულ იქმნა ახალი საგანი, ეს

ახალი საგანი იყო —ქონებრივი ინტერესები. ერთს ქვა-კუთხედად დაედვა ეკონომიური ძალა,ურომლისოდ შეუძლებლად იყო აღსარებული როგორც კერძო ადამიანის, ისე მთელის საზოგადოების, ერის კეთილ-დღეობა და განვითარება“.

ბ-ნ კალამის წერილის აზრით, ბატონ-ყმობის გადავარდნას მოყვა **ქონებრივ ინტერესებისათვის ზრუნვა**. სჩანს, ბატონ-ყმობის წინად ქონებრივს ინტერესებისათვის ზრუნვა არ ყოფილა. მხოლოდ ბატონ-ყმობის შემდეგ დაიდვა ეკონომიური ძალა საზოგადოების ქვა-კუთხედად. მანამდე არც ეკონომიური ძალა ყოფილა და არც ქონებრივი ინტერესები. აი, მეორე ახალი აღმოჩენა ბ-ნ კალამის წერილისა! მისის წერილის აზრით, პატრიციები და არისტოკრატები, ფეოდალები და ბატონები ეკონომიურს, მატერიალურს ინტერესებისათვის არ ჰზრუნავდნენ; არ ჰზრუნავდნენ ქონებრივ ინტერესებისათვის აგრეთვე არც მონები და არც ყმები. მართალია, ბ. კალამის წერილის აზრი? რომ მართალი არ არის, ამის წინააღმდეგი არც ბ-ნი კალამი იქნება. ყველა საზოგადოებას, როგორც ძველს, ისე ახალს, ეკონომიური ინტერესი ამოძრავებს, ეკონომიური ფაქტორებია ერის მოძრაობის უმთავრესი ძალა. ამ აზრს დღეს არავინ ეწინააღმდეგება, არც ბ-ნი კალამიც. ეწინააღმდეგება მხოლოდ კალამის წერილი.

წერილები რედაქციის მიმართ.

I

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ჩვენი უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ლიხაურის ორ-კლასიან სკოლის საპატიო მზრუნველს —კაპიტანს ბებურ გურგენის ძეს ბებურიშვილს, რომელმაც სხვებსავით მარტო მზრუნველის სახელის ტარება არ იკმარა და, ამ თანამდებობაზედ დამტკიცებისთანავე, სკოლას ნამდვილი მზრუნველობა აღმოუჩინა მათ, რომ იყიდა 400 მანეთად და შემოსწირა სკოლას მომავალის სამეურნეო განყოფილებისათვის სამ ქცევა-ნახევარი საუკეთესო მიწა, მდებარე სკოლის მახლობლად; მადლობას ვუძღვნით აგრეთვე ქ-ნ ნინა მგელაძისას ვასაძის ასულს, რომელმაც დაუთმო ბ-ნ ბებურიშვილს ზემოხსენებული მიწა ოთხას მანეთად, თუმცა ამ ადგილის 600 მანეთად ყიდვის მსურველნი ბევრი იყვნენ.

აქაური დირექციაც მოწადინებულია აგრონომიული განყოფილება დაარსდეს აქ და თავის მხრივ შემწეობას გვპირდება.

ლიხაურის საზოგადოების მამასახლისი ცინცაძე.

სკოლის ზედამხედველი ბარნაბა მენაბდე.

სოფელ ლიხაური (ოზურგეთის მაზრა).

II

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ქუთაისის დრამატიულ დასის მსახიობს ბ-ნ მიხეილ ჯანთაევს (ნემო), რომელმაც იკისრა შრომა და გამართა წარმოდგენა ხონში 3-ს ამა ნოემბერს ხონის დედათა პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

გამგეობის თავმჯდომარე კესარია ტატიშვილისა.

„ივერიის“ ფოსტა:

ძ—სს. გოდოგნელს. თქვენი სცენა არ დაიბეჭდება.

პ—ას. ქ. მ—ეს. თქვენი წერილი „კიდევ შავიქვის მრეწველთა საყურადღებოდ“ არ დაიბეჭდება, რადგანაც საქმეს არ შეეხება არსებითად, საბუთიანობას მოკლებულია და მხოლოდ პირადობაზეა დამყარებული, რასაც საზოგადო მნიშვნელობა არა აქვს.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

21 ნოემბერი

ვაშინტონი. სენატში წარდგენილია კანონ-პროექტი, რომელიც კრძალავს ტრესტების ნაწარმოებით ვაჭრობას ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატთა შორის.

ლონდონი. გამოქვეყნებულია ოფიციალური მიწერ-მოწერა შანხაის ევაკუაციის შესახებ. ინგლისის ელჩი აცნობებს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ—მეფე თხოულობს შანხაის ევაკუაციას და ტიან-ძინის დაბრუნებასო. სახელმწიფონი თანახმა არიან შანხაიდგან ჯარი გაიყვანონ 1 ნოემბრისათვის; შეეკითხნენ იაპონიას, საფრანგეთს, გერმანიას არიან ისინი თანახმა თუ არა. იაპონია და საფრანგეთი თანახმა არის, ხოლო გერმანიამ განაცხადა: მეც თანახმა ვიქნები შანხაიდგან ჯარი გავიყვანო, როცა გამოცხადებული იქნება ევაკუაციის დროვო. იანძის მეფეს ავალებენ, რომ ეკონომიური, პოლიტიკური და სხვა უპირატესობა არც ერთს სახელმწიფოს არ დაურჩეს. ეკონომიურს ლგოტას გერმანიის მთავრობა დათმობას უწოდებს. ლანსვუნი წინააღმდეგია მესამე პირობისა. ინგლისი ამბობს, რომ ის უზრუნველ-ყოფილია არსებული საერთა შორისო ხელშეკრულობითო. გერმანიის ელჩმა არ მიიღო მესამე პირობა, მას ჩინეთის მთავრობის გარანტიის იმედი აქვს.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ ფეოდორის ასული რუსეთს წაბრძანდა.

სოფია. მთავარს ბევრი მილოცვის დეპეშები მოუვიდა: მინისტრთა საბჭოსაგან, სახალხო საკრებულოდგან და სხ. პირთაგან. გაზეთობა სავსეა ცნობებით, რომ მაკედონიაში ბევრი შეტაკება ხდება და დაზარალებულთ ასახლებენო.

მადრიდი. საგასტა თხოულობს სამსახურის თავის დანებებას, რადგანაც ოპოზიცია ეჭვის თვალით მიყურებსო. მეფემ 24 საათი ითხოვა მოსაფიქრებლად, შეიწყნაროს საგასტას თხოვნა, თუ არა.

სმოლენსკი. სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა შესახებ საგუბერნიო კომიტეტის კრება დაიწყო. დიდი კამათი გამოიწვია ხამიაკოვის და შარაპოვის მოხსენებამ. პირველი ამბობდა მრეწველობის დაცემის და საფინანსო პოლიტიკის შესახებ; მეორე ოქროს გალიუტაზედ. კრებამ მიიღო მურომცევის წინადადება, რომ დაარსდეს უმაღლესი ქალთა სამეურნეო ინსტიტუტი.

ვარშავა. მობრძანდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

პარიჟი. პრეზიდენტმა ლუბემ ინახულა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე. დიდმა მთავარმა ინახულა ქ-ნი ლუბე. პრეზიდენტი სადარბაზოდ იყო დიდს მთავარ ვლადიმირ ალექსანდრეს ძესთან და დიდ მთავრინასთან.

პეტერბურგი. გაზეთების ცნობა, რომ ვითომც საზღვაოსნო ვაჭრობის უმთავრესი გამგეობა დიდი მთავრის პავლე ალექსანდრეს ძის სასახლეში უნდა მოთავსდეს, მართალი არ არის. თხოვნისამებრ სამსახურიდგან დათხოვნილია ვორონეჟის გუბერნატორი სლეპცოვი.

22 ნოემბერი

პეტერბურგი. გარდაიცვალა რუსული ოპერის არტისტი სტროევსკი.

ათინა. მეფემ დელიანისს მიანდო ახალი კაბინეტის შედგენა.

ლონდონი. „ლურჯი წიგნი“ იტყობინება: გერმანიის მთავრობას მისვლია მოხსენება, რომ ჩინეთი არასოდეს არ დასთმობს თავის უმაღლესს უფლებებს, და არავის არავითარს უპირატესობას არ მიანიჭებსო. მეტერნიხის ნოტაში ჩამოთვლილი დათმობის მუხლები მთელს ჩინეთში უნდა გავრცელდეს.

პეტერბურგის ბირჟა, 19 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	$45,92^1/_2$
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	$37,64^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$5—6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$97\ ^3/_4$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$99^1/_4$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადვ. მამულო ბანკისა	$94^1/_2$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	482 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	372 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადვ.-მამ. ბანკისა	$301^1/_2$ მყიდ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$88^1/_2$ გაყ.
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. სადვ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სადვ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	$99^1/_2$ მყიდ.
აქციები ,, ,, ,,	495
,,კასპიის ამხანაგობისა.	4650 წვრ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	420 წვრ. გაყიდ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	202 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდგან** 15 **მაისამდე**.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ: —ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე: —ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

სასამართლოს შესახები ცნობანი

სამოსამართლო პალატაში დანიშნული საქმეები 30 ნოემბერს:

1. თედორე ჭილაგანისა და იორდანე სურმავას საქმე.
2. ეფემია ჩიქოვანისა და არტემ სიმონიანცის დავა.
3. ეპიფანე ცაგარლისა და ერასტე კაწარავას დავა.
4. როსებ, ლუარსაბ, გიორგი და დათა ფარცხვერაშვილის და ბიჭია და ნესტორ საცერიძეს დავა.
5. ალექ. და სენო მხეიძისა და ვასილ კიკნაძის დავა.
6. მიხ. დრეკელოვისა და მარკინის დავა.
7. პავლე ბოყაძისა და გედევან ბახტაძის დავა.
8. ლუკა ბახისა და უტო ბახია სადავო საქმე.
9. სლუჩევსკისა და ოლღა მელიალქოვის დავა.
10. დედულა ხურცინოვისა და ზალიკო და ხოხა კუხანოშვილის დავა.
11. თავ. მიხეილ ლორთქიფანიძისა და თავ. ასლან ლორთქიფანიძის დავა.
12. ნიკოლ. წყობილაძისა და გიორგი და ილარიონ ფურცხვანიძეთა დავა.
13. გ. გძელიშვილისა და მიხ. ბაქრაძის დავა.
14. ეკ. ტატუნაშვილისა და გაბოსი, ლექსოსი და ფარსო კონდარაშვილების დავა.
15. ილია ახპაძისა და ვლადიმერ სოფრომაძის დავა.
16. ნესტორ მღლაძისა და სიმონ ტყემალაშვილის საქმე.
17. ფედოტი ლაკტიონოვისა და კონსტანტინე ხიზანოვის საქმე.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოდ, რომ ამა ნოემბრის 28, ნაშუადღევს 1-ლ საათზე გამგეობის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის კუთვნილი მამულებისა. სახნავ სათესი, სათიბი საძოვარი და სხვა სამეურნეო სამუშაო ადგილებისა 1) **ავლაბრის მამული ზომით** 1829 **დესეტ** 460 **კვად. საჟენი,** 2) **კუკიის მამული ზომით** 888 **დესიატ.** 1860 **კვად. საჟ.**

პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის 4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა—დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდის.

(2—6—2)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ იუწყება, რომ ამა ნოემბრის 29-ს ნაშუადღევის 1 საათზე მისის თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა ახლად შეკეთებულ შიოევისეულ ქარვასლის იჯარით გასაცემათ, რომელიც ამ ჟამად ქალაქის საკუთრებას შეადგენს და რომელიც იმყოფება „შეითან ბაზარში“.

პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. (2—6—1)

იბეჭდება და გამოვა ნოემბერში 1903 წ.

საქართველოს კალენდარი

(ვ. გუნიასი),

გამოცემა „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა“.

კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით, როგორც ჩვენის, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. კალენდარში მოთავსებული იქნება გარდა ჩვეულებრივ საკალენდრო ცნობებისა სალიტერატურო განყოფილებაც.

მიიღება განცხადება კალენდარში დასაბეჭდად შემდეგ ის პირობებით:

კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს—10 მან., $^1/_2$ გვერდი—6 მან.; კალენდრის ბოლოში: 1 გვერდი—7 მ., $^1/_2$ გვერდი—4 მან., $^1/_4$ გვერდი—2 მ., მარტო ადრესის გამოცხადება—1 მ.

განცხადება მიიღება: ტფილისში—ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბათუმში—მ. ნიკოლაძესთან და სპ. ქელიძესთან, ქუთაისში—ვ. ბეჟანიშვილთან და მიტ. ლაღიძესთან.

ნოემბერშივე გამოვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამოცემა

ჯიბის კალენდარი.

„РОДИНА“ иллюстрир. изданіе для семьи, даетъ за ШЕСТЬ р. съ упак. и пересылкой 52 №№ журнала №№ ГАЗЕТЫ №№ „Всемірное Обозрѣніе“ №№ „РАЗВЛЕЧЕНІЕ“. 26 КНИГЪ раздѣл. на двѣ слѣдующія группы: 12 книгъ „Общеполезной библіот.“ содерж. иллюстр. НОВУЮ ИСТОРІЮ 14 книгъ „Собраніе романовъ“: т.-е., 12 книгъ романовъ и въ томъ числѣ иллюстр. сочин. ОСВОБОДИТЕЛЬНАЯ ВОЙНА 1877—78 г.

Сверхъ того, въ книгахъ „Родины“ выйдутъ: 1) ШЕСТЬ поэм. ТЕННИСОНА [illegible] КОРОЛЕВСКІЯ ИДИЛЛІИ и 2) иллюстр. 50 рис. Каульбаха, Лейтемана и друг. поэма Іоганна Гете — „ПОХОЖДЕНІЯ ЛИСА-ХИТРЕЦА“, или РЕЙНЕКЕ-ЛИСЪ

96 ПРИЛОЖЕНІЙ: [illegible] ВОСЕМЬ КАРТИНЪ

ОТРЫВНОЙ календарь на 12 мѣс. и КАЛЕНДАРЬ-СПРАВОЧНИКЪ на 1908 г. [illegible]

ПОДПИСНАЯ цѣна за годъ ШЕСТЬ р. [illegible] РЕДАКЦІЯ „РОДИНЫ“ С.-Петерб., Лиговская, д. 114.

ბალანსი

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა

1 ნოემბრისათვის 1902 წლისა.

აქტივი.

		მან.	კაპ.
1. კასა		86.660	57
2. მიმდინარე ანგარიშები:			
ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში	311—56		
ბ) სახელმწ. ბანკ. ბათუმ. განყ.	815—64		
გ) ტფილის. საკომერც. ბანკში	762—48	1.889	68
3. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში		1.032	25
4. განაღდება თამასუქებისა		974.055	62
5. დაცვლილი კუპონები და ფასიანი ბილეთები		5.535	50
6. გირაოთი გაცემული სესხი:			
ა) სახელმწ. მიერ უზრუნ.-ყოფ. ფას. ქაღალდ.	96,061—		
ბ) არა უზრუნველ-ყოფ. ქაღალ. საკრედიტო საზოგადოებათა და სადვ.-მამულო ბანკებ.	101,626—		
გ) ოქროსა და ვერცხლში	23,793—		
დ) საქონლის კვიტანციებში.	3,690—		
ე) საქონელში	53,708—46	278.878	46
7. სპეციალური მიმომდინარე ანგარიში წევრებისა:			
ა) უზრუნ.-ყოფ. ფას. ბილეთ.	106,840—06		
ბ) საქონლით	442,081—20	548.921	26
8. კორრესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით.	1.777,262—08		
ბ) ჩვენის ანგარიშით.	1.643,460—46	3.420.722	54
9. საჭირნახულო თანხის ბანკის ბილეთები		50.651	60
10. სასწავლებლის თავნის ბილეთები		34.500	—
11. პროტესტ ნაქნარი ვექსილები		8.050	—
12. ვადა-გადაცილებული სესხები		3.736	34
13. ღერბის მარკები		391	10
14. მიმდინარე ხარჯები		31.519	59
15. დაბრუნებული ხარჯები		23.072	31
16. მოწყობა და მომართვა		2.474	08
17. უძრავი მამული		74.694	99
18. სხვა ქალაქებში გაგზავნილი		83.388	94
ბალანსი.		5.630.174	83

პასსივი.

		მან.	კაპ.
1. თავნი, საზოგადოების წევრთაგან შემოტან.		153.815	—
2. საჭირნახულო თანხა		54.782	39
3. უძრავი მამულის შესაძენად დანახარჯის აღსადგენი თავნი		9.800	82
4. თავნი სახელოსნო და სამრეწველო სასწავლებლებისათვის		34.589	12
5. შემოტანილი წევრებისაგან:			
ა) მიმომდინარე ანგარიშზედ.	284,516—94		
ბ) ვადით	778,281—80		
გ) უვადოთ	10,510—	1.073.308	74
6. თამასუქებით ნასესხი			
ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში			
ბ) კერძო საკრედიტო დაწესებულებაში	102,200—	102.200	—
7. გადაგირავება ქაღალდებისა			
8. სპეციალური მიმომდინარე ანგარიში ტფილისის კომერციულ ბანკში		268.307	35
9. კორესპონდენტები			
ა) იმათის ანგარიშით (Loro)	1.703,665—11		
ბ) ჩვენის ანგარიშ. (Nostro)	1.957,377—81	3.661.042	92
10. სხვა ქალაქებში გასაგზავნად გამოტანილი		115.177	74
11. დაურიგებელი დივიდენდი		10.912	10
12. სასარგებლოდ შემოტანილის პროცენტები.		12.451	41
13. მიღებული სარგებელი და კომისია		81.370	56
14. თავნის ნაწილი გამოსულ წევრთაგან წაუღებელი		270	—
15. სახელმწიფო გადასახადები		12	04
16. სხვათათვის გადასაცემად შემოტანილი		49.920	92
17. მონაგები		536	84
18. მამულის შემოსავალი		1.676	88
ბალანსი.		5.630.174	83
პასუხის-მგებლობა 1,514 წევრისა 10%-ის შესატან გარდა		1.384,335	—
საზოგადოებას აქვს შესანახად ფასიანი ქაღალდები და სხვა განძი		93,300	—
ვექსილები კომისიით.		220,463	93

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 ноября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხახანაშვილი.